„ქალთა ორგანიზაციის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს ქალების ჩართულობას თვითმმართველობაში“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე,** საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან ერთად ოზურგეთში, პარტიის გურიის რეგიონის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრ ქალებს შეხვდა.

ირაკლი კობახიძემ ისაუბრა საქართველოში ქალთა ორგანიზაციის შექმნის თაობაზე და თქვა, რომ მისი დაფუძნება 2016 წლიდან განიხილებოდა. თუმცა, პროცესები შეფერხდა იმის გამოც, რომ ხშირად იმართებოდა არჩევნები, რომელთა შორის, მისივე თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება..

– პარლამენტში და ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდრული ბალანსის ზრდა, გენდერული კვოტების შემოღება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა იყო, თუმცა 3 წლის წინ ეს საკითხი განხილვისას ჩავვივარდა. შემდეგ მხარდაჭერა მოვიპოვეთ და პარლამენტში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალი წევრების რაოდენობა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობებში 2,5-ჯერ.

ქალთა ორგანიზაციის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს ხარისხობრივად გაიზარდოს ქალების ჩართულობა თვითმმართველობაში, მათ პროფესიულ განვითარებას, წინსვლას, კომუნიკაციებს სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან.

– პარლამენტში ერთეულიდან მხოლოდ 3 ქალი წარვადგინეთ მერის პოზიციაზე. საკრებულოებში კვოტები დავაკმაყოფილეთ.

გეგმები ამბიციური გვაქვს და ერთ თვეში უნდა ჩავატაროთ ეროვნული ყრილობა, სადაც აირჩევა ქალთა საბჭო და რეგიონული წარმომადგენლები. შემდეგ კი ადგილობრივ დონეზე გაიმართება კონფერენციები.

ჩვენ ვთხოვეთ დეპუტატ ნინო წილოსანს ჩადგომოდა ამ საქმეს სათავეში. ვთანამშრომლობთ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

. – ქალთა ორგანიზაცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ქალბატონების გაძლიერებისა და მათი პროცესებში ჩაბმისთვის გასააქტიურებლად იბრძოლებს, რაც განსაკუთრებულად ამოქმედება 2024 წლის არჩევნების მოსაგებად – ითქვა შეხვედრაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები **ნინო წილოსანი,მაკა ბოჭორიშვილი, რიმა ბერაძე, მაია მენაღარიშვილი, ქეთი დუმბაძე, ბაია კვიციანი, ეკა სეფაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე,** სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია,** ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** ჩოხატაურის მერი **დავით შარაშიძე.**

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 4 (10416) 24 თებერვალი, 2022 წ. ფასი 60 თეთრი.

სოფელ ლესაში ხიდის მშენებლობა დასრულდა

სოფელ ლესაში ხიდის მშენებლობა დასრულდა. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა.

რეაბილიტირებული ხიდი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული ხიდი სტიქიის შედეგად დაზიანდა და მისი რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში ბავშვების 16 პროცენტის სისხლში ტყვიის შემცველობა მაღალია

გვ-2

ვის უდევს „თათი“ ექადიელთა მიწის ნაკვეთებზე

ალიონი. ქ. ოზურგეთის, ექადიის უბნის მცხოვრებლები ორ ათეულ წელზე მეტია, აქტიურად იბრძვიან მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადასაცემად, თუმცა გარკვეული ბარიერების გამო, ეს დღემდე არ მოხერხდა.

ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ექადიელებს 3,7 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გაუყიდეს. ეკონომიკის იმჟამინდელი მინისტრის 2011 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით იგი საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთმა პროკურორმა **შ. ს**-მ შეიძინა, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოსახლეობის პროტესტი, თანაც რამდენიმე თვეში მათთვის საბედისწერო 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები უნდა გამართულიყო, რომ ნაციონალებმა შ. ს-ს აღნიშნული მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსთვის დაებრუნებინეს.

ამის შესახებ იწერებოდა პრესაში, (გაზეთები „გურია ნიუსი,“ „ალიონი“), იყო საპროტესტო აქციები, გაიმართა არაერთი შეხვედრა ხელისუფლების ძველ და ახალ წარმომადგენლებთან, მაგრამ ექადიელებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაპირებებით კვებავენ.

– ნახევარ საუკუნეზე მეტია მიწის ნაკვეთი, რომელზეც ჩემს ოჯახს(ასევე მეზობლებს თავიანთ ნაკვეთებზე) სიმინდის მოსავალი მოჰყავდა,სახელმწიფო ბელელში აბარებდა ვალდებულების თანახმად და საკუთრივ სარჩოდ ღებულობდა კოლმეურნეობისაგან – არ გვიფორმდება საკუთრებაში, ბიუროკრატიული დაბრკოლებების გამო. ამ მიწის 20-ზე მეტი მფლობელებიდან რამდენიმე სოციალურად დაუცველია და აქ მოწეული სიმინდი, ლობიო არის ოჯახის მთავარი სარჩო. იქნებ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გამოიჩინოს კეთილი ნება და ყველა ოჯახს დაუკანონოს მიწის ნაკვეთები – ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ქ. ოზურგეთის, ექადიის უბნის მცხოვრებმა **ავთანდილ ჯინჭარაძემ** და თან კოლმეურნის წიგნაკი გვაჩვენა, რომ იგი 1979 წლის აგვისტოდან კოლმეურნეობის წევრი იყო.

ამ თემის მოკლე ისტორია ასეთი გახლავთ: ექადიაზე 1930 წლიდან არსებობდა კოლმეურნეობა და იქ მცხოვრებთა უმეტესობა საკოლმეურნეო კომლის კატეგორიას განეკუთვნებოდა. ასე იყო 1993 წლის მარტამდე, ვიდრე კოლმეურნეობები საერთოდ არ გააუქმეს. **ექადიის კოლმეურნეობას ათეულობით ჰექტარი მიწის ნაკვეთები ჰქონდა მერიის, ნატანების ლეკიანის მიდამოებში, რომლებიც ექადიელ კოლმეურნეებზე იყო გაპიროვნებული. ნატანებისა და ლეკიანის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები ზღვიდან 3-კილომეტრიან ზოლში მოხვდა და ამოიღეს პრივატიზაციის ნუსხიდან. თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ ეს შეზღუდვა გაუქმდა, მაგრამ ეს ახალი კანონი მოსახლეობას დაუმალეს და ეს მიწები თავიანთი შეხედულების მიხ-ედვით გაასხვისეს.** ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ექადიელმა კოლმეურნეებმა და სხვა კატეგორიებმა სათანადოდ ვერ ისარგებლეს პრივატიზაციით.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში (ოზურგეთის გამგეობამ 2004 წელს ეს მიწა სოფელ ლიხაურს გადასცა) 22 ოჯახის სარგებლობაში მყოფი 3,7 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სადაც სიმინდი მოჰყავდათ და ოჯახებს არჩენდნენ.

2008 წელს მიღებული იქნა კანონი ლეგალიზაციის შესახებ, და ხალხს მიეცა შანსი ამ მიწების დასაკანონებლად. მათ 2008 წლის 4 აპრილს დააფუძნეს ამხანაგობა „ექადია 2“, რათა სურდათ „სახელმწიფო ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაეკანონებიათ კონკრეტული მიწის ფართობი. მათ მოიწვიეს ლეგალიზაციის კომისიის წევრები, სპეციალისტები, აზომვითი ნახაზებისა და საკადასტრო რუქის ელექტრონული ვერსიის მოსამზადებლად, გადაიხადეს სათანადო საფასური...

მერაბ ჩიჩუა: *– ჩვენი ოჯახი 1959 წლიდან ფლობდა აქ მიწას. 2007 წელს გვითხრეს, რომ ჩვენს საყანე ფართობში დადიოდნენ ვიღაცეები, ათვალიერებდნენ და ასურათებდნენ. დავინტერესდით და ოზურგეთის რაიონის გამგეობაში გვითხრეს, ამ მიწაზე ორი აუქციონი უკვე*

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მერი მერიასა და მის სამსახურებში ორგანიზაციულ რეფორმას აანონსებს

ალიონი. 16 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მორიგი სხდომა გაიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ სხდომაზე 12 ახალი პროექტი წარადგინა. მათ შორის: ქ. ოზურგეთში, კოსტავას ქუჩის სრული რეაბილიტაცია, გზის საფარის, კომუნიკაციების და თანამედროვე განათების მოწყობით; ასევე მოხდება ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია; ფონდ „ქართუს“ მიერ აღდგენილი ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წინა მოედნის სრული განახლება.

მერმა თავის გამოსვლაში ასევე თქვა მუნიციპალური სკვერების და პარკების რეაბილიტაციის შესახებ. მათ შორის:„ჭადრების ბაღის“, ექადიის ტყე-პარკის მოწყობა; იოანე პეტრიწის ქუჩაზე არსებული პარკის რეაბილიტაციის დასრულება, ნინოშვილისა და ჟორჟოლიანის ქუჩების კვეთაში სკვერის მოწყობა;

დაბა ურეკში ზღვისპირა ბულვარის განახლება და წყლის სისტემის მოწყობის დასრულება;

მალაზონიას ქუჩაზე გაკეთდება თანამედროვე სტანდარტების ჩოგბურთის კორტები, რომელიც სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელ ინფრასტრუქტურას მოიცავს და სადაც მნიშვნელოვანი ტურნირების გამართვა იქნება შესაძლებელი.

აშენდება ნაპირსამაგრი ნაგებობები სოფელ წითელმთაში და სოფელ ნაგომარში.

სოფელ სილაურში აიგება ახალი ხიდი, რაზედაც 450 ათასი ლარი იქნება გამოყოფილი.

სოფელ ლიხაურში მდინარე აჭისწყალზე განახლდება ლიხაურის ცენტრსა და ოქროსმუხუროს შორის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდი.

ავთანდილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ეჭვი იმის შესახებ, რომ არ მოხდება ლიხაური-ოქროსმუხურო-მაკვანეთის გზის რეაბილიტაცია. იგი მოხდება ამ უბანში წყლის სისტემის მშენებლობის დასრულების შემდეგ.

სიახლეა ნარჩენების მართვის კუთხითაც. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადაეცემა 6 ერთეული ახალი ტექნიკა და 300 ვცალი ნაგვის ახალი კონტეინერი, რაც გაზრდის მომსახურების არეალს.

მერმა განაცხადა, რომ ნასაკირალის წყალმომარაგების პროექტის განხორციელებას არსებული დარღვევების გამო კონტრაქტი შეუწყდა მშენებელ კომპანიას.

მერმა ისაუბრა სახელმწიფო აუდიტის დასკვნაზე, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2019-2020 წლების საქმიანობას ეხება. მერის თქმით, აუდიტის დასკვნაში სერიოზული დარღვევები და გადაცდომებია დაფიქსირებული, მერის მოადგილეებს აუდიტის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება დაავალა და მერიასა და მის სამსახურებში ორგანიზაციული რეფორმა დააანონსა.

დავით შარაშიძე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, **დავით შარაშიძე,** მოადგილეებთან, მაია კუტუბიძესთან და მინდია ჟღერიასთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს სოფლებში 2022 წელს დაგეგმილი პროექტები, რომლებიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან უნდა დაფინანსდეს. ასევე, მსჯელობის საგანი იყო სოფლის დახმარების პროგრამით დასაფინანსებელი პრიორიტეტების გამოკვეთა, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად.

ნასაკირალის 8,5 კმ-იანი მონაკვეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა ***გიორგი ურუშაძემ*** *ოზურგეთში, ნასაკირალის 8,5 კმ-იანი მონაკვეთის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერა. „აქტიურად გრძელდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთის გზის ასფალტობეტონით მოწყობის სამუშაოები. პროექტს ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მსოფლიო ბანკის ფინარდანსური მხარდაჭერით, პროექტი დასრულდება 2022 წლის მაისის ბოლოს“,* – *აღნიშნა გიორგი ურუშაძემ.*

აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში ბავშვების 16 პროცენტის სისხლში ტყვიის შემცველობა მაღალია

ისრაელის მეცნიერთა დელეგაცია დახმარებას გაუწევს სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს სისხლში ტყვიის განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტების, მეთოდების დანერგვასა და ტყვიით დაბინძურების წყაროების განსაზღვრაში.

ისრაელი აღიარებულია, როგორც მსოფლიო ლიდერი წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებში, კვლევებსა, თუ ინოვაციებში.

საქართველოში 2018 წელს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში განხორციელდა ტყვიის კომპონენტის კვლევა. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ბავშვების 41% აქვს 5მკგ/დლ (მიკროგრამი დეცილიტრზე უფრო მაღალი), 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა მერყეობს 5-10 მკგ/დლ (მიკროგრამი დეცილიტრზე) ფარგლებში, რაც მიუთითებს მსუბუქ მატებაზე, ხოლო ბავშვების 16%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს. განსაკუთრებით მაღალია მაჩვენებლები აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

ისრაელის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზა დახმარება, რათა დაადგინოს მძიმე მეტალებით, მ.შ. ტყვიით დაბინძურების წყაროების შესწავლა, მ.შ. ზედაპირულ წყლებში.

ამ მიზნით, ისრაელის საელჩო და MASHAV-ი (ისრაელის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო), საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) და UNICEF-ის საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, 4 წამყვანი ექსპერტის მისიას უხელმძღვანელებენ, რომლებიც თბილისში 13 თებერვალს ჩამოვიდნენ. ისრაელიდან.დელეგაცია ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვას და შესაბამისი ქიმიურ რისკ ფაქტორთა ლაბორატორიის ტექნიკურ განახლებას, გადაამზადებს ადგილობრივ გუნდს აღნიშნული ლაბორატორიების სრული პოტენციალის გამოსაყენებლად.

ასევე, ექსპერტები გაემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში და 3 სხვადასხვა რეგიონიდან აიღებენ ნიადაგისა და წყლის ნიმუშებს, რომლებსაც შემდგომი ანალიზისთვის ისრაელში გაიგზავნება, შესაბამისი კვლევები პარალელურად ჩატარდება ეროვნული ცენტრის ქიმიურ რისკ ფაქტორთა კვლევის ლაბორატორიაში.

გატარებული ღონისძიებებისა და კვლევების შედეგების გაანალიზების საფუძველზე დაიგეგმება სამომავლო აქტივობები და შეიქმნება ეროვნული სტრატეგია პრობლემების აღმოფხვრის, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ლაბორატორილი სიმძლავრეების გასაუმჯობესებლად.

ისრაელის საელჩო და MASHAV მადლობას უხდიან სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრსა (NCDC) და UNICEF-ს ფასდაუდებელი პარტნიორობისა და მხარდაჭერისთვის.

ვის უდევს „თათი“ ექადიელთა მიწის ნაკვეთებზე





გაიმართა და მესამეზე გადისო. ჩვენ მიწის ლეგალიზაციის კანონი მოვიშველიეთ, შევქენით კოპერატივი „ექადია 2“, 22 ოჯახმა დაწერა განცხადება და ლეგალიზაციის კომისიას კვლავ მივმა-რთეთ. კვლავ გვითხრეს, რომ ერთ პიროვნებას უნდა ეს მიწის ნაკვეთი და ვერ მოგცემთო. ვუთხარით, კანონით გვეკუთვნოდა და არ დავთმობდით. არ მოგვახმარეს კანონი, ისე მოაწყვეს საქმე, რომ არ გაიტანეს კომისიაზე. შემდეგ ლეგალიზაციის კომისიის საქმი-ანობით პროკურატურა დაინტე-რესდა და ლეგალიზაციის პროცესი შეჩერდა. 2011 წლის ბოლოს „დაინტერესებული“ პიროვნება გამ-ოჩნდა და იგი საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრო-კურორი აღმოჩნდა. ჩვენი პროტე-სტის შემდეგ ეს მიწა სახელმწიფოს დაუბრუნდა. ჯერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კოლექტიური წერილებით მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს, პრემიერ მინისტრებს გიორგი კვირიკაშვილს, გიორგი გახარიას, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს. გვინდოდა ჩვენც ჩავრთულიყავით სახელმწიფო პროგრამებში, მოგვეწყო სასათბურე მეურნეობა, პარტნიორები ყოფილიყვნენ ჩვენი სოციალურად დაუცველი მეზობლები... მაგრამ კვლავ ბიუროკრატიული პასუხებს ვლებულობთ – გვითხრა ჩიჩუამ.

2020 წლის 20 ნოემბერს, ექადიელებმა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სპორადული რეგისტრაციისათვის განცხადებები შეიტანეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკადასტრო აზომვით ნახაზებთან ერთად . ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში ექადიელების მონაწილეობით განხილული იქნა ეს განცხადებები, ექადიელებმა სხვა საბუთებთან ერთად ნოტარიულად, მოწმეების საფუძველზე დადასტურებული ცნობებიც წარადგინეს, რომ ისინი ფლობდნენ აღნიშნულ მიწის ფართობებს. იყო გარკვეული შეპირებები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

თვეების მანძილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქის წარმომადგენლობაში არწმუნებდნენ ექადიელებს, რომ სწავლობდნენ ამ საკითხს და დასკვნას მერიის იურიდიული სამსახურიდან ელოდებოდნენ. ძალიან გაგრძელდა ამ დასკვნის მომზადება...შემდეგ ექადიელებმა იუსტიციის სახლიდან უარყოფითი მესიჯები მიიღეს.

ექადიელებმა 16-17 თებერვალს მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სპორადული რეგისტრაციის მოთხოვნით კვლავ მიმართეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

– 10-12 წლის წინ ვის ჰქონდა „თათი“ დადებული ჩვენს მიწებზე გავიგეთ, იმედია სხვებიც გამოჩნდებიან. ჩვენ ჩვენს ფართობებს არ დავთმობთ. ვიბრძოლებთ ბოლომდე – აცხადებენ ისინი.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა მთისპირსა და ჩხაკაურაში ჩატარდა

მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 11 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის და ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას ადმინისტრაციულ შენობებში გაიმართა. განხილვას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საჯარო სკოლისა და ბაღის ხელმძღვანელები და პედაგოგები და მთისპირის თემის ოთხივე სოფლის (მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა) და სოფელ ჩხაკურას მოსახლეობა. ჩხაკაურაში მიმდინარე განხილვას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **დავით შარაშიძეც** ესწრებოდა.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტი სამინისტროს წარმომადგენელმა წარადგინა, რის შემდეგაც სიტყვით განმახორციელებელი კომპანიის „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდროVI“-ის დირექტორი, **მიხეილ ნიბლაძე** გამოვიდა. პროექტის ტექნიკურმა მენეჯერმა გიგლა სიხარულიძემ, პროექტის ტექნიკური პარამეტრების შესახებ ისაუბრა; განხორციელებული კვლევები, გარემოსდაცვითი საკითხები და სოციალური პროგრამა კი, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ** მიმოიხილა.

მთისპირსა და ჩხაკაურაში გამართულ საჯარო განხილვებმა კითხვა - პასუხის რეჟიმში ჩაიარა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაფიქსირდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ინტერესი, რაც დამსწრეთა სიმრავლეში გამოიხატებოდა. დამსწრე საზოგადოებას აინტერესებდა კომპანიის გეგმები როგორც გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით, ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია სოციალურმა პროგრამამ და მის განხორციელებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. აღინიშნა, რომ სამუშაოები, რომელიც კომპანიამ გასწია გზშ-ს მოსამზადებელ პერიოდში, ფასდაუდებელია. ასევე, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ შემუშავებული სოციალური პროგრამა პასუხობს სწორედ იმ საჭიროებებს და გამოწვევებს, რომელიც რეალურად არსებობს პროექტის მიმდებარედ არსებულ სოფლებში. ორივე სოფლის მოსახლეობამ მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ გზშ-ს ანგარიში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაბარდა 2021 წლის 20 დეკემბერს და სამინისტროს ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2021 წლის 23 დეკემბერს.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი
THE INSTITUTE FOR CHANGE AND INNOVATION

UNDP

საგრანტო კონკურსი

სამიზნე რეგიონი – გურია

„ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტი“ (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი), საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ (UNDP/SDC VET) პროექტის ხელშეწყობით, აცხადებს ინოვაციების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამას (სამიზნე რეგიონი - გურია). პროგრამა ითვალისწინებს ნოვატორული იდეების, სასოფლო-სამეურნეო სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისკენ მიმართული საპროექტო განაცხადების მიღება/მხარდაჭერას. საპროექტო იდეები გათვლილი უნდა იყოს სათემო, მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი ტექნოლოგიების, კულტურულ-მექანიზაციურ თუ ტრადიციულ მეთოდოლოგიებში იმგვარი სიახლის შემოტანის მიმართულებით, რომელიც ხელს შეუწყობს დამატებითი შემოსავლის მიღების პერსპექტივების გაჩენას, მოსავლის მოცულობის ზრდას, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული ეფექტური, ტექნიკური, კულტურული ნოვაციების შექმნას და დანერგვას.

მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ გრანტით (მაქსიმუმ 5, 000 ლარი) არ გადმოგეცემათ ფულადი სახით, არამედ გრანტის გამცემი ორგანიზაცია ყიდულობს თქვენს მიერ მოთხოვნილ პროდუქტს, ტექნოლოგიას ან სერვისს). აგრეთვე, ინოვაციური იდეათა კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტი ითვალისწინებს განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობას (პროექტის საერთო ღირებულების 20%, აქედან 5% ნაღდი ფულით).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საგრანტო კონკურსის III ეტაპზე განაცხადები მიიღება 2022 წლის 25 თებერვლის ჩათვლით. სააპლიკაციო ფორმის სააპლიკაციო ფარმები იხილეთ ჯობს.გე-ზე ან დაგვიკავშირდით ნომერზე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადის შევსებული ფორმა უნდა გამოგზავნონ შემდეგ მისამართზე: ici.info.02@gmail.com, subject-ში მიუთითეთ გრანტს.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 599981898

საცალფეხო ხიდის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

გვიმბრალაური-ჯუნეწრის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოები დღეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელ, **თენგიზ ხელაძეს**-თან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული ხიდის მშენებლობა თვის ბოლომდე დასრულდება. მოეწყობა ლითონის მოაჯირი.

ლევან ქუთათელაძე – 84

ქართული მეცნიერების ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს 84 წელი შეუსრულდა

ღვაწლმოსილი ადამიანი

ჩაის ინდუსტრიის ღვაწლმოსილ სპეციალისტს, ტექნოლოგიების დოქტორს, საქართველოს სახელმწიფო და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პრემიების ლაურეატს, ბატონ ლევან ქუთათელაძეს მიმდინარე წლის 28 თებერვალს დაბადებიდან 84 წელი და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წელი უსრულდება.

ლევან ქუთათელაძე დაიბადა 1938 წლის 28 თებერვალს ქ. თბილისში. 1945 – 1956 წლებში სწავლობდა ქუთაისის მე - 9 საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა და 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ანასეულში, ყოფილ ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მან განვლო სახელოვანი გზა ასპირანტიდან სამეცნიერო დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე.

მნიშვნელოვანია ლევან ქუთათელაძის წვლილი ჩაის ინდუსტრიის განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მწვანე ჩაის ნაკადური წარმოების და კომპლექსური ტექნოლოგიის შემუშავების მიმართულებით გაწეული ნაყოფიერი საქმიანობა, რომელთა ერთმა ნაწილმა ფართო აღიარება მოიპოვა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 1982 წლის 23 თებერვლის 123 დადგენილებით ლევან ქუთათელაძეს, ავტორთა ჯგუფთან ერთად, ნაშრომზე - „ჩაის თხევადი კონცენტრატების და და გამამხნევებელი სასმელების ტექნოლოგიის კვლევა, შემუშავება და სამრეწველო ათვისება“ საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერების და ტექნიკის დარგში, ხოლო 1985 წლის 19 აპრილის საქართველოს მთავრობის 445 პ დადგენილებით, ასევე ავტორთა ჯგუფთან ერთად, ნამუშევრისთვის „ბაიხის ჩაის გადამამუშავებელი მოწყობილობა“ – მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი პრემია.

ლევან ქუთათელაძეს გამოქვეყნებული აქვს 100 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 2 მონოგრაფია და 40 - მდე გამოგონება და პატენტი.

ვუსურვებთ ბატონ ლევანს დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ახალგაზრდულ შემართებას და ბედნიერებას ლამაზ ოჯახთან ერთად.

მეგობრები
და კოლეგები

მილოცვა

ჩაის მრეწველობის დარგის ამაგდარ მეცნიერს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, გამორჩეული ინტელექტისა და პიროონული თვისებების მქონე ღირსეულ მამულიშვილს, დიდებულ მეგობარს, ბატონ

ლევან ქუთათელაძეს

ვულოცავთ დაბადების ოთხმოცდა-\ოთხ წლისთ-ავს.

გულწრფელად ვუსურვებთ ულევ სიკეთეს, გონიერებით, ზნეობითა და სამართლიანობით გაბრწყინებულ საქართველოში, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს მისთვის ახლობელ და ძვირფას ადამიანებთან ერთად.

უმრავლოს ჩვენ საზოგადოებას ბატონ ლევან ქუთათელაძის მსგავსი, ქვეყნის ჭირვარამზე დაფიქრებული, მოამაგე და მოჭირნახულე, გულკეთილი და გონებანათელი პატრიოტი ადამიანები.

უახლოესი ადამიანები

ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო საბჭოს სხდომა

სასიქადულო მეცნიერი

სხვადასხვა თაობის მეცნიერ და პრაქტიკოს ადამიანთა თავდადებული შრომისა და მოღვაწეობის საფუძველზე ანასეულში მდებარე ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა როგორც მძლავრი სამეცნიერო ცენტრი. აღნიშნული ინსტიტუტის სამეცნიერო დარგს მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თავისი ინტელექტით, კეთილშობილებითა და პატრიოტიზმით გამორჩეული პიროვნება ბატონი ლევან ქუთათელაძე. მან უაღრესად მნიშნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ჩაის მეცნიერების განვითარებაში.

ლევან ქუთათელაძის უშუალო ხელმძღვანელობით, რჩევა დარიგებითა და დახმარებით ბევრმა ახალგაზრდა სპეციალისტმა მიაღწია წარმატებას მეცნიერებაში. მიხედევად ინსტიტუტის წინაშე არსებული გამოწვევებისა, იგი ყოველთვის ახერხებდა პირად ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა ობიექტურობა და სამართლიანობა, ინსტიტუტისა და საზოგადოების წინაშე მდგარი აუცილებლობა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი დღესაც მწყობრშია და მზადაა თავისი ცოდნა და გამოცდილება უანგაროდ გაუზიაროს ჩვენი ქვეყნის წინსვლით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებას.

ულევ სიკეთეს, ქართულ ტრადიციულ გარემოში ჯანმრთელ და წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებთ ჩვენს უფროს მეგობარს ლევან ქუთათელაძეს და მის ბრწყინვალე ოჯახს.

გიორგი მუხაშავრია
ინჟინერ-გამომგონებელი

ქართული ჩაის მეცნიერების ამაგდარი

ლევან ქუთათელაძემ 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის დავით ფანცხავას მოთხოვნით სამუშაოდ განაწილებულ იქნა ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც იმუშავა ზუსტად ნახევარი საუკუნე, ანუ 2011 წლამდე.

სხვადასხვა დროს იგი იყო უმცროსი მეცნიერ მუშაკის მოვალეობის შემსრულებელი, უფროსი მეცნიერ მუშაკი, სტანდარტიზაციისა და ტექნოლოგიის განყოფილების გამგე, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ჩაის მრეწველობის სამეცნიერო -საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მთავარი ტექნოლოგი.

საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების თემატიკა დაკავშირებული იყო შემდეგ პრობლემებთან: მწვანე ჩაის წარმოების ტენოლოგიური რეჟიმის დადგენა ნაკადური წარმოების პირობებში და ჩაის მრეწველობის მდგრადობის საკითხები სამხედრო პირობებში (სპეცთემატიკა).

არის ორი მონოგრაფიის, მათ შორის „კვების მრეწველობის ნარჩენების რაციონალური გამოყენება“ თანაავტორი, მიღებული აქვს გამოგონების ორმოცამდე საავტორო მოწმობა, გამოაქვეყნა ასზე მეტი სამეცნიერო შრომა.

მისი ინიციატივით შეიქმნა ჩაის კვლევითი ლაბორატორია ლენქორანში, რამაც ხელი შეუწყო აზერბაიჯანული ჩაის წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამაღლებას. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამეცნიერო სამუშაოებს მოსკოვის, ადლერის, ზუგდიდის, თბილისის და ლენქორანის ფილიალებში.

ლევან ქუთათელაძის ხელმძღვანელობით დამუშავდა და დამტკიცდა ახალი სახელმწიფო სტანდარტები ყველა სახის ჩაის პროდუქციაზე და პირველად მასში შეტანილი იქნა ჩაის ხარისხის განმსაზღვრელი ობიექტური ქიმიური მაჩვენებლები – ტანინი, ექსტრაქტი, კოფეინი.

დიდი დახმარება გაუწია ვიეტნამს ადგილობრივი ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ორგანიზებასა და აღჭურვაში, სათანადო სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

მივლინებული იყო გერმანისა და პოლონეთში ადგილობრივი სპეციალისტებისთვის ჩაის მშრალი და თხევადი კონცენტრარტების, სხვადასხვა საკვები პროდუქტების წარმოებაში ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენების საკითხებზე კონსულტაციის გასაწევად.

მეცნიერულად დაასაბუთა ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებისთვის შემოქმედის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკისა და ოზურგეთის ექსპერიმენტალური მანქანათმშენებელი ქარხის აშენების აუცილებლობა.

იყო რამდენიმე ასპირანტისა და მაძიებლის სამეცნიერო ხელმძღვანელი, დისერტაციათა ოფიციალური ოპონენტი. უშუალოდ ხელმძღვანელობდა დახურული (საიდუმლო) თემების დამუშავებას, განსაკუთრებით (ომი, ელექტროსისტემების დაზიანება და სხვ.) პირობებში ჩაის მრეწველობის მდგრადობისა და სპეცპროდუქტების წარმოების საკითხებზე.

მის მიერ გენერალურ დირექტორთან კონსტანტინე გულუასთან და მთავარ ინჟინერ თამაზ ბერიძესთან ერთად შედგენილ იქნა ქ. ოზურგეთში ახალი ექსპერიმენტული ჩაის კომბინატის მშენებლობის ტექნიკოეკონომიკური დასაბუთება, რომელიც შეტანილ იქნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში. კომბინატში დასაქმდებოდა ათასი ადამიანი და გამოშვებული პროდუქციის წლიური მოცულობა იქნებოდა 20 მილიონი მანეთი. მშენებლობისთვის გამოიყო სათანადო მიწის ნაკვეთი. კომბინატის მშენებლობა 1989 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო ეს პროექტი არ განხორციელდა.

ლევან ქუთათელაძე არის საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათ დოქტორი. სახელმწიფოს მიერ დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, ლევან ქუთათელაძე არის შესანიშნავი ქართული ტრადიციული ოჯახის მეთაური.

ძვირფასო მკითხველო, „მე ლევან ქუთათელაძის მეგობარი ვარ“ და წინამდებარე საგაზეთო წერილს სიამაყის გრძნობით მოვაწერე ჩემი სახელი და გვარი.

ომარ ბაკურაძე,
ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ თანამშრომელი

„ჩემი ლამაზი სოფელი“

გაგრძელება დასაწყისი „ალიონი“ №3

სკოლა, თამაშები

მე სკოლაში 7 წლის ასაკში მიმიღეს, ისე 8 წლის უნდა ყოფილიყო პირველი კლასის მოსწავლე.საწიგნე მატერიისაგან გამოკერილი, მხარზე ზონარით გადაკიდებული გვქონდა. მელანი პატარა შუშის ან თიხის ქილასავით ჭურჭელი იყო, კალამი და კალმისტარი თუ არ გვქონდა, მსხვილი ცოცხის ღეროზე ვამაგრებდით კალამს და ვაწებდით სამელნეში. მატემატიკისათვის ლამაზად გამოჭრილ თხილის ჯოხებს ფანქრის სიმსხოს დაახლოებით 10-სანტიმეტრის სიგრძის კანს გავაცლიდით და ათ-ათ ცალად შევკრავდით ნახმარი წვრილი რეზინით და დათვლაში გამოკლებამიმატებაში ვხმარობდით. რვეულები საკლასო და საშინაო იყო. რუსულს მესამე კლასიდან ვსწავლობდით, ხოლო გერმანულს – მეხუთედან. სანამ ომი დაიწყებოდა, ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობდა; მიუხედავად მატერიალური სიღარიბისა, ალბათ ისეთი ტკბილი ცხოვრება არ განმეორდება – ჩვენი უბნის ბავშვებმა ზოგმა ასკანაში 5-6 კილომეტრის დაშორებით დაამთავრა საშუალო სკოლა.

სკოლაში თამაშობა ასეთი იყო – **კლასობანა** დახაზული უჯრედები სუფთა მიწაზე და ცალი ფეხით პატარა კრამიტის ნატეხი ისე უნდა გაგვეტანა, რომ ხაზს არ შეხებოდა; **ჯაფარიკა** – პატარა ორმო, ზედ 30-სანტიმეტრიანი ჯოხი იდო, ჩვენ ხელში მეორე მეორე მოგრძო ჯოხი გვეჭირა და ამოვკრავდით ქვემოდან და გატყორცნილი უნდა დაეჭირა მეორე მოთამაშეს; მეტად მაგარი სათამაში იყო **ლახტი.** მრგვალ წრეში 2 ან 3 ქამარი იდო და შიგნით იცავდა თითოს თითო ბიჭი, ამდენივე გარედან ცდილობს აღებას, მაგრამ ფეხი თუ მის ფეხს მოარტყა „დაჭრილი“ იყო და შიგ უნდა დამდგარიყო. თუ ქამარს გარეთ მყოფი წაიღებდა, იგი ურტყამდა ქამარს შიგნითას. ასევ ვთამაშობდით **„მრგვალი ვირო“.**

პატარები ასე ვიწყებდით რუსულადაც და ქართულადაც: ბატებო, ბატებო, შინისაკენ! რატომ? –გორაკზე მგელია – როგორი? –ნაცრისფერი, რუხი და ბავშვები მივრბოდით დედა „ბატისაკენ.“

გაზაფხულზე თხემლის ნორჩ ტოტს ჩამოვხლეჩდით, გადავტეხდით და დავატრიალებდით ღეროში, კანი გამოძვრებოდა ეს იყო „საპუტუნა“ სხვადასხვა ხმაზე.

მოვჭრიდით უფრო გამაგრებულ გვიმრის ღეროს, დავაჭრიდით ფოთლებს, ვაკეთებდით პატარა კაკვებს და ვექაჩებოდით აქეთ-იქეთ. რომელი კაკვიც დასძლევდა, იგი იყო გამარჯვებული.

ბიჭები **ხელთოფას** ვაკეთებდით. იგი თხიფსელას ხისგან კეთდებოდა. იგი მორჩილი, დაბალტანიანი ხეა ღრუტანი; ზამთარში რეზინას თუ ვიშოვიდით, **შურდულს** (ლაკატკას) ვაკეთებდით. მას ქვების სასროლი აქვს და გულგამოცლილ ქაღალდის ტყვიებს ვისროდით.

მდინარის ცალკე ტოტს გადავწურავდით – იქამდი ბოლოში უკეთდებოდა დამცავი ჯებირი ხის ფოთლებიან ტოტებისაგან. როცა წყალი კლებას დაიწყებდა, თევზები იგრძნობდნენ და იწყებდნენ მდინარის შესართავისაკენ ცურვას. ჩვენ, ხელით ქვების ქვეშ ვიჭერდით ნაკადულის წითელწინწკლებიან კალმახს. ამის შემდეგ ვბანაობდით ანკარა ბახვის წყალში.

მწყემსების კარავში

მთელი ზაფხული ბახმაროში ვიყავით. ჩემი მშობლები მეტყოდნენ, რომ მწიფობისთვეში (ოქტომბერში) ვიყავი დაბადებული და მომდევნო წლის ივლისში, 9 თვის რომ გავმხდარვარ, მამაჩემს ილაკრის (ამ სახელით იხსენიებს მამის – ირაკლის სახელს –რედ), ყაბალახის ყურში ჩავუსმივარ და ისე ავუყვანივარ ბახმაროში. მას შემდეგ, ომის დაწყებამდე, სულ ბახმაროში ვიყავი. კარგად მახსოს, სეზონის ბოლოს დილით რომ გავიღვიძე, კარგა გვარიანი თოვლი დამხვდა. ბარისკენ დავიძარით. კისერში ჩამიჯინა გრიშა ვაშალომიძემ და ისე ჩამომიყვანა უკანავაში. აქაც მაგარი ნაავდრი იყო.

რა დამავიწყებს იმ ბედნიერ დღეებს, როცა მშობლები და ჩემი საყვარელი უფროსი თაობის ხალხი მყავდა მომფერებელი, ასევე დედაჩემის ძმები – ჭიკალო და შუტუ, რომლებიც მამაჩემმა ისე დაზარდა, რომ მათ იგი მამად მიაჩნდათ.

ერთი ძველი ამბავი მინდა გავიხსენო, ანეტა კვარაცხელიას (სერგოს დედა) მონაყოლი. კვარაცხელიების ეს ორი ოჯახი სოფლის თავში, ლილოსქედში ცხოვრობდნენ. აქედან იყო ბახმაროსკენ წასასვლელი ბილიკი, რომელიც დიდრაყაზე, დამწვარ დუქანთან უერთდებოდა ვანისქედში გზას და საქონელს (მათ ხომ დიდი ჯოგი ჰყავდათ) აქედან მიერეკებოდნენ. ცხენებითაც აქედან დადიოდნენ.

ადრე წასულან მთაში, რადგან კარგი ამინდები ყოფილა. სახლში მოხუცი ბებია დაუტოვებიათ დროებით, რომ მალე ჩამოაკითხავდნენ. სახლში ძალიან ჭკვიანი დიდი ძაღლი, როგორც ჯოგის ძაღლებია, დაუტოვებიათ: –„ბათურა“, ბებიას მიხედეო. გასულა 10 თუ 15 დღე, ისინი კარავში იყვნენ (კარავს იმ სახლს ეძახიან, რომელშიც მწყემსები ცხოვრობდნენ). მათ კარავთან ძაღლის ყმუილი გაუგონიათ. გამოსულან და ხედავენ „ბათურა“ ზის და ცისკენ პირაბყრობილი ყმუის!

მისცივდნენ, მოეფერნენ, რა იყო „ბათურაო“. „ბათურამ“ერთი კი შეხედადა მათ და დადო ორივე თათი წინ ცრემლები გადმოყარა; მიხვდნენ კვარაცხელიები, ეს რომ კარგის მომასწავებელი არ იყო და იმავე ფეხზე წამოვიდნენ ბარში. „ბათურამ“ თურმე ლუკმა არ აიღო და მთელი გზა წინ მიუძღვოდა მათ. ჩამოვიდნენ და მოხუცი ლოგინში დახვდათ გარდაცვლილი. ისინი სოფლის ზემოთ ცხოვრობდნენ, ხოლო მეზობლობა დაბლა, უკანავაში იყო.

კიდევ მაგონდება პეტრე გვილავას შესახებ (იგი მამაჩემის ალალი ბიძაშვილის დარია იაგორის ასული ვაშალომიძის ქმარი იყო). მათაც დიდი ჯოგი ჰყავდათ და სოფლის დასალიერს ცხოვრობდნენ. ეს ის დრო იყო (გასული საუკუნის დასაწყისი), როცა კობა ჯუღაშვილს დასდევდნენ დასაჭერად. ამ პერიოდში, ჩვენს პატარა სოფელში სამმა დიდმა მესაქონლემ დაიდო ბინა, რადგან მწყემსების მიერ ახლად აღმოჩენილმა ალპურმა საძოვრებმა, ბახმაროს და ტყემ მათ საშუალება მისცა საქონლის იოლად გამოზამთრებისა. ეს მესაქონლეები იყვნენ: კოწია კვარაცხელია, ჯარუ ფიფია და ახალგაზრდა მესაქონლე პეტრე გვილავა. პეტრე და კოწია უკანავაში დაოჯახდნენ – ვაშალომიძეების ქალები ჰყავდათ ცოლად –ხოლო ჯარუ ფიფია ვაკიჯვარში.

ამათ, რა თქმა უნდა, თავიანთი კარვები და საძოვრები ჰქონდათ ბახმაროში (სადაც ახლაცაა „ჯარუს ნაკარვალი“, პეტრეს კარავი), შემდეგ მისი შვილების სერგოს და ფასტოს სახლები (ე.წ. კარვები). ჰოდა ასეთ მიუწვდომელ ადგილზე იმალებოდა კობა ჯუღაშვილი იმ იმედით, რომ ეს ხალხი არ გასცემდა.

მოხდა ისე, რომ საიდანღაც გაჟონა ამ ამბავმა, კობას (სტალინის) იმ მიდამოებში ყოფნის შესახებ. მივიდნენ ჟანდარმები ჯარუს კარავთან და ეკითხებიან ჯარუს: – „თქვენთან ვინმე უცხო პიროვნება ხომ არ არისო?“

–„ბატონებო, ამ ტყეში ჩვენ გვიჭის ყოფნა და უცხოს რა გააჩერებსო! “–უპასუხნია ჯარუს.

ისინი მაინც შესულან კარავში, სადაც ზის ეს „გლეხის ბიჭი“ (კობა).

–„ასი მამაძაღლი გვახუია თავს , შენ რა დაგიბარე, (უყვირის ჯარუ „მეხბორეს“), ხბოების მოდენა, იძინე ხომ?“–და ჯარუს დიდი ჯოხი აქვს ხელში, როგორც იციან მწყემსებმა„მეხბორე“ სწრაფად გამოვარდნილა გარეთ.და გაქცეულა „ხბოების“ მოს-ადენად. ჟანდარმებს კიდეც შეცო-დებიან საწყალი „მეხბორე“და წასულან.

ასე ინახავდნენ დევნილებს და პირველ რიგში კაცურ ნამუსს ეს ხალხი.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ კვარაცხელიებს, სხვებს მიწები და ძროხები ჩამოართვეს.

ოციანი წლების შესახებ

ოციან წლებში გურიაში დიდი ავჯანყებები და მთავრობისაგან (ბოლშევიკებისაგან) სადამსჯელო ღონისძიებები ტარდებოდა. განსაკუთრებით საშა ობოლაძის სადამსჯელო რაზმმა ააწიოკა მოსახლეობა. დაიჭირეს უკანაველები და მთისპირელები. ზოგი გადაასახლეს, ზოგი სხვა სოფლებში დაჭერილ გლეხებთან და ინტელიგენციასთან ერთად სოფელ ლიხაურის შესასვლელში, კვაჭალათზე დახვრიტეს, იქ, სადაც გოგია ღლონტმა საშა ობოლაძე გამოსალმა სიცოცხლეს. ჩვენი სოფლიდან დახვრეტილთა შორის იყვნენ: მამა-შვილი კოწია და ფასტო კვარაცხელიები. როცა ისინი დაიჭირეს, კოწია მეუღლეს ანეტას (ვაშალომიძის ქალი) უთხრეს თურმე ამ მხეცებმა: –ქმარი თუ შვილიო?

– შვილი ნენა, შვილიო –შებღავლა თურმე დაჩოქილმა ქალმა.

დახვრიტეს პანტელეიმონ ვაშალომიძე (ზალიკო ვაშალომიძის ბაბუა), ანდრია ლომაძე, კოწია კვარაცხელია და როგორც სხვები, ისევე ყოვლად უდანაშაულო 19 წლის უმცროსი ბიძა ილია; მიზეზი კი ის იყო, რომ გურიაში მომრავლდნენ ფირალები და მათ შორის მეორე ბიძა სიმონა თალაკვაძეც იყო. ამათმა არ ინდომეს ბოლშევიკები და განუდგნენ. შექმნეს რაზმი, რომელსაც ფირალი გოგია ღლონტი ხელმძღვანელობდა. მამაჩემიც დაიჭირეს, სახლიც დაუწვეს, აწამეს – ძმაი მოგვიყვანეო. ასევე დაიჭირეს ჩემი ბაბუაც. მეოთხე ძმა ბაგრატი 1914 წლის რუსეთ-გერმანიის ომში ტყვედ ჩავარდა და სახლში მხოლოდ ქალები დარჩნენ.

როგორც ვთქვი, გოგია ღლონტის რაზმი კვაჭალათზე ჩაუსაფრდა ქაქუთიდან მომავალ ობოლაზის რაზმს და იქვე ააფეთქეს თავის

ვანისქედის №6 ბრიგადა, შუაში ბრიგადირი ნოდარ თალაკვაძე

ეტლში მის კიდევ ორ მოადგილესთან ერთად.

ბაბუამ ერთ დროს ახალგაზრდა სტალინი შეიფარა და ოჯახში ინახავდა, შემდეგ ურმით ჩალაგადაფარებული გააპარა ჩოხატაურისაკენ; მოხდა ისე, რომ სიმონა ბიძია გასცა ვიღაცამ და სადილი რომ მიუვიდა ტყეში, იქ ჩაუსაფრდა მილიცია და მოკლეს. ბიძაჩემი მისმა დებმა ორი მეზობელი კაცის დახმარებით, ღამით ჩამოასვენეს სახლში. ჩვენი ეზოს წინ პატარა გორა იყო და იქ დაასაფლავეს. სხვებიც მოკლეს, მხოლოდ გოგია ღლონტი გაიპარა საზღვარგარეთ მეუღლესთან ერთად და საფრანგეთში გარდაიცვალა.

ბაბუამ სტალინს წერილი გაუგზავნა – თქვენებმა ოჯახი დამინგრიესო და ბაგრატი ბიძიე შეახსენა. მიუვიდა სტალინს ეს წერილი და პასუხად წერილი და 30 მანეთი გამოუგზავნა. ბაბუა და მამაჩემიც გამოუშვეს ციხიდან. შემდეგ კი 17 წელი ტყვეობაში ნამყოფი ბიძია ბაგრატი გამოისყიდა და 1932 წლის შემოდგომაზე გერმანიიდან ჩამოვიდა.

ბაბუას სიკვდილის ბოლომდე ჰქონდა სტალინის მიერ დანიშნული პენსია.

ომი

მიუხედავად ხელმოკლეობისა, ყველა ნახულობდა თავისი ოჯახის სარჩენ საშუალებას, ადამიანებს გათენება უხაროდათ, რაც იმ ავადსახსენებლმა ომმა ერთი ხელის მოსმით გაანადგურა. გამოცხადდა ომი და გაიწვიეს მთელი სოფლის ახალგაზრდობა და ცოტა ასაკოვნებიც.

ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს, კვირა დღეს, –ამ დღეს ხომ წელიწადის ყველაზე დიდი დღეა, გერმანია მოულოდნელად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. მე მაშინ 9 წლის ვიყავი, უკანავას დაწყებითი სკოლის 3-კლასდამთავრებული. ჩვენი უბნის –თაფურიათის 4 მოსახლიდან 4 ახალგაზრდა გაიწვიეს ომში, მათგან მხოლოდ ერთი –ილიკო ინწკირველი იყო ცოლშვილიანი, რომელსაც სახლში 2 შვილი დარჩა. არც ერთი არ დაბრუნებულა ამ ომიდან. ჰოდა, დამწუხრდა მთელი ქვეყანა. რა თქმა უნდა ჩვენი სოფელიც, მაგრამ ჩვენ, ბავშვებისათვის ნაკლებად მისახვედრი იყო არსებული მდგომარეობა, რაც შეეძლო ომს მოეტანა. მამაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილი არ იყო ამ ომში, ძლიერ განიცდიდა მომხდარს, რადგან ბევრი ამ ბიჭებიდან მის ობოლ ბავშვებთან ერთად იყვნენ გაზრდილი.თავად მამაჩემი მძიმედ ნაწვალევი კაცი იყო.

დედამ ეზოში ჩაი მოკრიფა. მამამ საღამოხანს წაიღო პუნქტზე, გაღმა – უკანავაში. მეც ავედევნე – მახსოვს, მაღაზიის წინ იდგა სილიანი ყუთი, და იმაზე ისხდნენ მამაჩემი და გრიშა ვაშალომიძე. საუბარი, რა თქმა უნდა, ომს შეეხებოდა. მეძახის მამაჩემი : –„ნენიავ,(ასე ეძახდა მისთვის ძვირფას არსებას) გაიქეცი სახლში ღამდება, მე ცოტა საქმე მაქვს და მოვალო.“ ენა არ მითქვამს, ისე გამოვტრიალდი და წავედი სახლში; თურმე თავს შეატყო, ცუდად იყო და მე რომ არ შემშინებოდა და არ დამენახა ცუდად იყო, ამიტომ გამომიშვა და იქვე კოტე ვაშალომიძესთან გარდაიცვალა. მამა დილით ამოასვენეს ხალხმა სახლში. მაშინ იგი 66 წლის იყო. 1941 წლის 22 ივლისს დაკრძალეს მამა ეზოში. ომის დაწყებიდან ერთ თვეში დავრჩით მე და საბრალო დედაჩემი მარტოდ,მიყრუებულ სოფელში, შიმშილის, სიცივის და რაც მთავარია შიშის წინაშე . ზაფხულობით ხილით ვიკვებებოდით, ცოტა საყანე იყო. ეზოში ცოტა სიმინდს მოვიწევდით, ცოტა ლობიოს, ხაპს და კვირაში კიდევ ერთ სულზე 600 გრამ შავ პურს გვაძლევდნენ, რაც დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის. გვყავდა მეწველი ძროხა, – დედა ხან ხაპის (გოგრის) ქაშს მიკეთებდა, ხან მოხარშული მსხალი გვქონდა...

ზამთარშიც მოკლე შარვალი და დედაჩემის მოქსოვილი გრძელი ბამბის „ჩულქები“ მეცვა – დედა ასევე მეგრულ ქალამნებს მიკერავდა –საქონლის ტყავს თუ იშოვიდა. ასე დავდიოდი 1941-42 წლებში ვანისქედის სკოლაში, შემდეგ კი 11-12 წლის ბავშვი ნახევრად მშიერი და ტიტველი დავდიოდი თაფურიათიდან 4-5 კილომეტრით დაშორებულ მთისპირის სკოლაში. აბა წიგნები და რვეულები სად იყო, ზოგს ამხანაგებიდან ვთხოვულობდი, თუ არადა დასვენების დროს ვკითხულობდი. გაზაფხულის მოსვლა შვება იყო –ხან ფეხშიშველი დავდიოდი. მასწავლებელს სამუშაოდაც დავყავდით, თხემლის ხის პატარა გირჩებს ვაგროვებდით, ის თურმე იოდს შეიცავდა. ჯარის დასახმარებლად რაც შეგვეძლო, იმას ვაგროვებდით. გერმანელები კავკასიონის ქედზე იყვნენ მოსული. ყველაზე საშინელება მაინც ის იყო, როცა რომელიმე ოჯახს შვილის, ძმის თუ ქმრის დაღუპვის ცნობა მიუვიდოდა.

პატარა უკანავადან ხენჩელამდე 27 ახალგაზრდა გაიწვიეს ომში, აქედან 15 არ დაბრუნებულა. ძმები ი. და პ. ი-ები დეზერტირობდნენ და რაც ჩვენთვის დიდი საშიშროება იყო. ისინი მიყრუებულ ადგილას იმალებოდნენ, ღამით შეიარაღებულები

გვ-6

სულთათანა

ვაჟა დარჩიას ხსოვნას

24 თებერვალს 24 დღე სრულდება შენი ამ ქვეყნიდან წასვლიდან. წახვედი და დამტოვე ტკივილთან და დარდთან ერთად. 63 წელი ერთად ვიყავით, ვხარობდით შვილებით და შვილიშვილებით, სანამ ჩვენი შვილი – კობა არ გამოგვაცალა ხელიდან.

ამის შემდეგ შენი ჯანმრთელობა მკვეთრად შეირყა. მძიმე სენმა გაგვაწვალა, სამი წელი ებრძოდი და ბოლოს ვეღარ გაუძელი. მეუბნებოდი –დაგხმარებოდი, სიკდილი არ გინდოდა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძელი. ბოლოს შობას შენი შვილების ერთად ყოფნით გაიხარე. შენი ხათუნა და ნოდარი შვილებთან ერთად გვესტუმრა.

ეს იყო შენი ბოლო სიხარული. შემდეგ ძალიან დამძიმდა შენი მდგომარეობა. ყველა დღე სიკდილს ჩასცერებოდი თვალებში.

ჩვენ სახეზე სამი შვილი, 10 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი გვყავს.

ყოველი გასული დღე უსაშველოდ გაუსაძლისია ჩემთვის. ვიცი, იქ მზრუნველობას არ მოგაკლებს ჩვენი კობა და შენი უფროსი და ციალა, რომელიც ახლახან წავიდა საწუთროდან.

მშვიდად განისვენე, ნათელი და სანთელი შენს ხსოვნას.

შენი **ცისანა**

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ოზურგეთის საკრებულოს აპარატის წევრის **ტარიელ ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

„ჩემი ლამაზი სოფელი“

ვანისქედის დარბაზული ეკლესია XI-XIIIს. (განახლებული)

სოფელში ჩამოდიოდნენ და ზოგიერთ სახლშიც კი შედიოდნენ და თუ რაიმე საჭმელი იყო, მიჰქონდათ...ვეღარ გაუძლო ასეთ მძიმე ყოფას დედაჩემმა, ჩემმა უფროსმა ნახევარძმამაც შეაგულიანა და ომის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე გათხოვდა, დაბლა ვანისქედში (დიხაშხო) სილევან ნიკოლაიშვილზე.

მოვიდნენ მთავრობის ხალხი: სოფლსაბჭოს თავმჯდომარე გალაქტიონ ჩავლეშვილი, მდივანი რუბენ ჭელიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იაკობ ჩავლეშვილი და მეზობელ სერაპიონ შეწირულთან ერთად აღწერეს ჩვენი ოჯახი: ფიცრული ოდა სახლი, სამზარეულო, სასიმინდე, ჭურმარანი, ყველა ნივთი რაც სახლში იყო, საქონლები, ღორი და შეადგინეს აღწერის აქტები და ჩემს ძმას ევსესი ილაკრის ძე თალაკვაძეს დაავალეს მეურვეობა („აპეკუნობა“). ავალდებულებდნენ ამ ჩამონათვალის სრულად დაბრუნებას, ჩემს დაცვას სრულ ასაკამდე მიღწევამდის.

სილევან ნიკოლაიშვილი 3 თუ 4 წლის დაქვრივებული იყო. მისი პირველი მეუღლე პელაგია თალაკვაძე იყო, რომელთანაც 5 შვილი ჰყავდა, აქედან ორი ვაჟკაცი –ავთანდილი და გივი ომში იყვნენ, სამხედროში იყო მედდად ერთადერთი ქალიშვილი დინა(თინა). პელაგია ვაშლის კრეფის დროს გადმოვარდნილა ხიდან და დაღუპულა.

სილევანი რუსის ჯარში ნამყოფი ძლიერი და ჯანიანი კაცი იყო. ჰქონდა ძლიერი ოჯახი, ნაყოფიერი მიწები დიხაშხოზე და ალბათ საწყალი დედაჩემი ბოლო ოთხი წლის მანძილზე პირველად დანაყრდა საჭმლით ადამიანურად, რადგან იმ წლებში, რასაც იშოვიდა ჩემთვის ინახავდა, თვითონ კი შიმშილობდა. სხვათაშორის ნიკოლაიშვილების უბანი თავისი მცხოვრებლებით დიდებული იყო – მშრომელი, პატიოსანი და მოსიყვარულე ხალხით. უფროსუმცროსობა, მიმართვა, დეიდა-მამიდა, ბიძია, ბაბუა, ბებია, –ეს ტერმინი იყო აქ დამკვიდრებული. მოვლენებს წინ გავუსწრებ და თუკი რამე კარგი ვისწავლე, ეს ჩემი საყვარელი ნიკოლაიშვილები იყო. წლების შემდეგ მე ხომ იქ შვილად მიმიღეს და იქვე დავოჯახდი. იქედან წავედი და ორი შვილიც იქ შემეძინა – ირაკლი (ილო) და ლეილა.

მანამდე, დედა რომ გათხოვდა, მე ძმასთან დავრჩი, რომელიც მალე დიაბეტით დაავადდა. სკოლაში თითქმის აღარ დავდიოდი: ხან ღვინის გასაყიდად დავყავდი ნატანებში, ფოთში, ხან კი ბახმაროში ყავარზე მამუშავებდა. ჩემი ოჯახი გაპარტახდა, აბა ვის უნდა ეპატრონა. ძნელია ასეთ პატარა ასაკში რომ ბავშვი დაობლდება და დედა მოენატრება. ხშირად ჩუმად ლოგინშიც მიტირია – ხან გავიპარებოდი ძმის სახლიდან და ჩემს მიტოვებულ სახლში გავრბოდი. ერთხელ ზაფხულში გავიპარე ჩემს სახლში. ფიცრული კუხნა იყო დარჩენილი. სახლთან გვიმრები და ბალახები მოვწმინდე, შემდეგ კუხნაში შევიტანე, სადაც კერიასთან შუა ცეცხლს ვანთებდით. დავანთე და უზარმაზარი კვამლი ამოვიდა, რომელიც გაღმიდანაც ჩანდა. ცოტა ხანში ჩემმა უფროსმა დამ ქეთუშამ მოირბინა, –ვიღაცას აუტანია ამბავი, რომ იქ ცეცხლი ანთიაო. მოვიდა ატირებული, აქ რას აკეთებ შვილო, რატომ წამოდი, ან ეს ცეცხლი რატომ დაანთეო?! მეც გული ამიყუჩდა, ჩავუდე თავი უბეში – იგი ჩემი მეორე დედა იყო, –და ცრემლიანმა ვუთხარი, რომ შინა მომენატრა და ცეცხლი იმიტომ დავანთე, რომ ვინცხა დაინახავდა, ილაკრისას ფუტი არ ჩამქრალაო..

ვანისქედის ეკლესია

ჩვენს პატარა სოფელში ოთხი ეკლესია იდგა. ვანისქედის ეკლესიას ასასვლელი ოცდათორმეტი საფეხურიანი ქვის კიბე ჰქონდა, იგი კომუნისტების დროს მოუშლიათ მაშინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავალებით ერთ-ერთ იქაურ მცხოვრებს, რომელსაც შემდეგ თურმე თვალები დავესო და ვეღარ ხედავდა. მეორეს –დიდი ზარი ჩამოუგდია, იგი რაღაცაზე დაუჭირავს კომუნისტებს და ნაწამებს ხელ-ფეხზე ფრჩხილები აღარ ჰქონია. მე ეს გადმოცემით ვიცი, რომლებიც იქ, იმ დროს ცხოვრობდნენ. იქ დიდხანს ყოფილა პატარა სენაკში ტასია მონაზონი, რომელიც იქ გარდაიცვალა.

ერთ ძველ გამოცემაში ვახუში ბაგრატიონს აქვს აღწერილი, რომ „არს ქალაქი ვანისქედი,“სადაც იარმურკობა იმართებოდა თურმე.იყო პურის საცხობები ამბაკო მახარაძის და ყაისარ ჩხარტიშვილის, სავაჭროები სოფრომ მახარაძის და სეფერთელაძის იქვე და სხვების, ცხოვრებულა ბერძენი ვაჭრები,(გვარი არ მაგონდება), მხოლოდ ახლა იქ ახლაც არის ლამაზი წყარო, სახელად „ბერძნის წყარო,“და თლილი, ლამაზი ქვებით ფურნეებისა და სავაჭროების ნამყოფი ფუნდამენტები.

როცა ვანისქედის ტაძარში ლოცვა აღევლინებოდა, მღვდელი იქაური სასულიერო ოჯახის შვილი პავლე კიღურაძე ყოფილა – მისი ოჯახობა ცინცაძის ქალი, ქ-ნი ნეფიდორა პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მოგვარე იყო. ეს ადამიანები მეც მახსოვს; პავლე რომ გარდაიცვალა, ეკლესიის შიგნით დაკრძალეს, – მაშინ იგი ნახევრად დანგრეული იყო.

დღეს, უფლის წყალობით და სოფლის ახალგაზრდობის მონდომებით ვანისქედის ტაძარი აღდგენილია და იქ წირვა-ლოცვა აღევლინება

(გაგრძელება იქნება)

იყიდება დაფნის ნერგები ფასი შეთანხმებით: დაგვიკავშირდით: 555 51 47 53

„არწივები“ გამოტოვებულ მატჩში „ტაოს“ შეხვდება

ალიონი. ოზურგეთის „არწივები“ 25-27 თებერვალს, მე-8 ტურის გამოტოვებულ გასვლით მატში სამცხეთ-ჯავახეთის „ტაოს“ შეხვდება.

„არწივები“ წარმატებით გამოდის საქართველოს პირველობაზე რაგბიში პირველი ლიგის გუნდებს შორის და პირველი წრე 42 ქულით მესამე პოზიციაზე დაასრულა (8 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, გატ. გაშვ. 404-166).

გათამაშებას 52 ქულით (11 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება) თბილისის „არმია“ ლიდერობს. მეორე პოზიციაზე თბილისის „ხვამლია“ 46 ქულით (10 მოგება, 3 წაგება). თუმცა ორთავე გუნდს „არწივებზე“ 2 თამაშით მეტი აქვს ჩატარებული.

მე-4 პოზიციაზე მყოფმა „ტაომ“ მართალია 13:14 დათმო მატჩი „ბაგრატთან“, მაგრამ სანუგეშო ქულა მიიღო და „არწივებს“ დაეწია. „ტაოსაც“ 13 შეხვედრა აქვს გამართული.

4-6 მარტს, „არწივები“ მე-14 ტურის გამოტოვებულ მატჩს პატარძლეულში „ვეფხვებთან“ გამართავენ.

მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყო. სააგენტო 2022-2024 წლების განმავლობაში, საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) განახორციელებს საამზომველო და სარეგისტრაციო საქმიანობებს (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბერის ბრძანება 798).

დღეს არსებული მდგომარეობით, ქვეყანაში მიწების 1/3 დაურეგისტრირებელია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2024 წლის ბოლომდე ეტაპობრივად უზრუნველყოფს ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემურ რეგისტრაციას.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები საფასურის გადახდის გარეშე მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:

- მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- სანოტარო მედიაცია;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;
- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია.

? მიწის სისტემური რეგისტრაციის პარალელურად, მოქალაქეებს კვლავაც შეეძლებათ ისარგებლონ მიწის სპორადული რეგისტრაციით.

? საქართველოს მთავრობის №636 დადგენილებით (2021 წლის 31 დეკემბერი) ცვლილება შევიდა №509-ე დადგენილებაში (2011 წლის 29 დეკემბერი), რომლითაც განისაზღვრება სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთზე სპორადული რეგისტრაციის საფასური.

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



1905 წელს ილიას განუზრახავს, შეექმნა **„ქართველ პროგრესისტთა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია“**. პროგრამის ტექსტის პირვანდელი ვრცელი ვარიანტი 1905 წლის 17 ოქტომბრამდეა შექმნილი. ამ დოკუმენტის მიხედვით, პარტიას **„ქართველ პროგრესისტთა ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“** ეწოდება.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს თანამოაზრეებთან ერთად "ქართველ პროგრესისტთა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის"პროგრამის პროექტი გადაუმუშავებია, შეუდგენია14 პუნქტისაგან შემდგარი დოკუმენტის ტექსტი.

1906 წლის იანვარში გაზეთ „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილია **„პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა“**,რომელიც 74 პარაგრაფისაგან შედგება. მოგვყავს ეს დოკუმენტი მთლიანად:

პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა

I. მცხოვრებთა ძირითადი უფლებანი

1. რუსეთის სახელმწიფოს ყველა მცხოვრები, მათის სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, თანასწორნი უნდა იყვნენ კანონის წინაშე. ყველა წოდებრივი განსხვავება და შემავიწროვებელი კანონი, რომელიც სჩაგრავს პიროვნულ და ქონებრივ უფლებას, ეროვნების განურჩევლად, სამუდამოდ უნდა მოისპოს.

2. უნდა დამყარდეს სრული თავისუფლება რწმენისა, სიტყვისა, კრებისა, მუშათა გაფიცვისა, კავშირებისა და ცენზურა სამუდამოდ უნდა გაუქმდეს.

3. ყველას, როგორც კერძო პირს, აგრეთვე ჯგუფებს, კავშირებსა და კრებებს ნება უნდა ექნესთ, წარუდგინონ მთავრობას მოთხოვნილებანი.

4. ი უნდა იყოს: ოჯახში შესვლა, გაჩხრეკა, გამოტანა და გახსნა კერძო კორესპონდენციისა უნდა მოისპოს. ამგვარი განკარგულება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამსაჯულოს განაჩენით, რომელიც თითოეულ შემთხვევისათვის განსაკუთრებით უნდა დადგინდეს; ყოველი ბრალდებული, შეპყრობილი ქალაქის ადგილს და საზოგადოთ სადაც სამსაჯულო არის, 24 საათის განმავლობაში ან სამართალში უნდა იქნეს მიცემული, ან სრულიად განთავისუფლებული; მაგრამ სადაც სამსაჯულო არ არსებობს, 48 საათის განმავლობაში უნდა მიეცეს სამართალში, ან უნდა გაანთავისუფლონ. იმ შემთხვევაში, როდესაც მცხოვრები უკანონოდ იქნება დაჭერილი, ან ვადაზედ გადააცილებენ იმის გამოშვებას, ხელშეხებულს ნება აქვს, მოითხოვოს, რომ სახელმწიფომ უზღოს, რაც მას უკანონო მოქმედებით ზარალი შეემთხვა.

5. არავინ სამართალში არ უნდა მოეცეს და არ დაისაჯოს, თუ არ სამსაჯულოს განაჩენით და კანონისამებრ. უნდა მოისპოს სამარადისოდ საგანგებო სამსაჯულოები.

6. უნდა მოისპოს პასპორტი და ყოველს მცხოვრებს სრული თავისუფლება მიეცეს, იმგზავროს როგორც თავის ქვეყანაში, აგრეთვე საზღვარ-გარეთაც.

7. ყველა ეს მცხოვრებთა უფლება დაცული უნდა იქნეს სამსაჯულოსაგან და შეტანილი რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებში.

8. რუსეთის სახელმწიფოს ძირითადმა კანონებმა უნდა დაიცვას ყველა ეროვნების პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეკონომიური უფლება, აგრეთვე თავისუფალი კულტურული თვითგამორკვევა: უნდა დამყარდეს ყოველ ენათა თავისუფალი ხმარება საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლად დაარსება და მოვლა სასწავლებელთა და ყოველგვარ კრებულთა, კავშირთა და დაწესებულებათა, რომელთაც აზრად აქვთ ენის, ლიტერატურის და კულტურის დაცვა და განვითარება.

9. რუსული ენა უნდა დარჩეს სახმარებლად ცენტრალურ დაწესებულებათათვის, არმიისა და ფლოტისათვის.

II. სახელმწიფო წყობილება

10. კონსტიტუციური წყობი-ლება რუსეთისა უნდა იქნეს დამყარებული ძირითად კანონებზე.

11. ხალხის წარმომადგენელნი უნდა იქნენ არჩეულნი: საზოგადო, ფარულის, თანასწორის და საიდუმლო კენჭის ყრით, არა უმცირეს 21 წლისა მეკენჭეთაგან, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. პარლამენტი უნდა იქნეს ერთად-ერთი კანონმდებელი დაწესებულება.

12. პარლამენტი გამოსცემს კანონებს, შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტს და კონტროლს იქონიებს უმაღლესის და უმდაბლესის ადმინისტრაციის კანონიერებისა და საჭირო მოქმედების შესახებ.

13. არც ერთ დადგენილებას, განცხადებას, ბრძანებას და სხვა ამგვარ განკარგულებას, ვისგან უნდა იყოს გამოცემული, არ ექნება კანონიერი ძალა, თუ რომ დამყარებული არ არის პარლამენტის დადგენილებაზედ.

14. სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც შედის ყველა სახელმწიფო გასავალი და შემოსავალი, მხოლოდ ერთი წლით დადგინდება და უნდა დაკანონდეს პარლამენტისაგან. არც ერთი ბეგარა, ბაჟი და გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოდ, აგრეთვე არავითარი სახელმწიფო სესხის აღება არ შეიძლება იქნეს დადგენილი, თუ არ პარლამენტისაგან დაკანონებული წესით.

15. პარლამენტის წევრებს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პარლემენტის უსანქციოთ მის წევრთა პიროვნება ხელშეუხებელი უნდა იყოს.

16. მინისტრები პასუხის მგებელნი უნდა იქნენ პარლამენტის წინაშე, რომლის წევრებს უფლება აქვთ, შეეკითხონ მათ და პასუხი მოსთხოვონ.

III. სამსაჯულო

17. უნდა გადათვალიერდეს არსებული კანონები და გამოიცეს ისეთები, რომ ხალხის ზნესა, ჩვეულებასა და საჭიროებას შეეფერებოდეს.

18. სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს და გამოცხადდეს სრული ამნისტია ყველა პოლიტიკური დამნაშავისათვის.

19. შემოღებულ იქნას პირობითი სასჯელი.

20. ბრალდებულს გამოძიების დროს ვექილის ყოლის უფლება უნდა მიეცეს.

21. მოხელენი საზოგადო კანონისამებრ პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ.

22. შემოღებულ იქნეს მომრიგებელ მოსამართლეთა აღმორჩევა.

23. სამართალი ყველასთვის უსასყიდლო და თანასწორი უნდა იყოს.

24. სამართლის წარმოება ხალხის დედა ენაზე უნდა იქნეს.

IV. საფინანსო და ეკონომიური პოლიტიკა

25. უნდა გადათვალიერდეს სახელმწიფო ხარჯთა ბიუჯეტი, რომ გადამეტებული უსარგებლო ხარჯები მოისპოს და სამაგიეროდ ყურადღება მიექცეს იმ საგნებს, რომელიც ხალხის ნამდვილ საჭიროებას შეადგენენ.

26. განვითარდეს პირდაპირი გადასახადი და შემცირდეს არა-პირდაპირი.

27. ყოველივე ღონის ძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ მთლად გაუქმდეს არა-პირდაპირი გადასახადი იმ საგნებზე, რომელნიც ხალხის უპირველეს საჭიროებას შეადგენენ.

28. უნდა მოხდეს რეფორმა პირდაპირის გადასახადისა, რომელსაც საფუძვლად დაედვას შემოსავალზე და ქონებაზე პროგრესული გადასახადი; შემოღებულ იქნეს პროგრესული გადასახადი მემკვიდრეობაზე.

29. გარემოს შესაფერისად თითოეული წარმოებისათვის ბაჟი უნდა შემცირდეს, რომ საქონელი, რომელსაც ხალხი ხმარობს, გაიაფდეს და ტექნიკურად განვითარდეს მრეწველობა და მეურნეობა.

30. შემნახველ კასსების თანხა უნდა მოხმარდეს მცირე კრედიტის გაძლიერებას.

V. აგრარული კანონმდებლობა

31. ვინც მიწის მუშაკი თავისი ხელით მუშაობს და მიწა კი ნაკლებად აქვთ, მას უნდა მიეცეს სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამონასტრო მიწები. ამავე მიზნით მიწის მუშაკთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს კერძოს მესაკუთრეთაგან, სამართლიან ფასად, მიწები. სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს აგრეთვე ხიზნებისა და დროებით ვალდებულ-გლეხთათვის ის მიწები, რომელიც მათ თავის საშუალებით აქამდის ვერ შეუსყიდიათ.

32. ყველა აღნიშნულ ადგილებს, სახაზინო და სანადელო ადგილებს გარდა, განაგებს სახელმწიფო საადგილმამულო ფონდი. თუ რა გვარად უნდა დაურიგდეს ეს მიწები (სამფლობელოდ, თუ პირად სასარგებლოდ, ან სათემოდ) დამოკიდებულია თითოეულს ადგილობრივ პირობებზე.

33. უნდა დაარსდეს ვრცელი ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება მკვიდრთა გადასახლებას, და მათ დაბინავებას ახალს სამოსახლოზე, როდესაც უადგილობის გამო იძულებულნი იქნებიან გადასახლდნენ. დაჩქარონ და მოაწყონ მიწების გამოჯვნა და მიიღონ სხვა საშუალებანი, რომელნიც გაუმჯობესებენ მეურნეთა და სოფლის მკვიდრთა მდგომარეობას.

34. უნდა გაუმჯობესდეს ღალის პირობები, მათი კანონზე დამოკიდებულების შესახებ, რომ არენდატორს შეეძლოს ღალის პირობების განახლება; მიეცეს არენდატორს სასყიდელი ადგილის გაუმჯობე-სებისათვის და დაარსდეს მომრიგებელი სამსაჯულოები, მიწის პატრონთა და არენდატორთათვის ღალის პირობების მოსაწესრიგებლად. არენდატორს უფლება უნდა ჰქონდეს, მიმართოს სამსაჯულოს გადამეტებულის მიწის ღალის შემცირების თაობაზე და ამ ღალის შესახებ ხელშეკრულებათა გაუქმების თაობაზე, თუ შიგ საზარალო პირობები არის.

35. დაარსდეს კანონმდებლობა მიწის მოქმედ მუშათათვის, მიწის დასამუშავებლად, ტეხნიკური თვისების შესაფერად; დაინიშნოს სამეურნეო ინსპექცია და მას დაევალოს, დაიცვას კანონი, რომელიც იფარავს შრომას ამ სფეროში, და შემოღებულ იქნეს სისხლის სამართლის წესით პასუხისგება მეურნეთათვის, თუ რომ ეგინი დაარღვევენ შრომის დამცველ კანონის ნორმას.

VI. კანონმდებლობა მუშისათვის

36. შემოღებულ იქნეს რვა საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისათვის

37. დაკანონდეს გაუწყვეტელი დასვენება ყოველ კვირაში არა ნაკლებ 48 საათისა ორივე სქესის მუშებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

38. ნორმაზედ გადამეტებული მუშაობა სრულიად აკრძალულ იქნეს.

39. ღამე მუშაობა, საღამოს 9 საათიდან დილის 6-მდე, აღიკრძალოს ყველა მრეწველობის დარგებში ისეთებს გარდა, სადაც ტეხნიკური პირობების გამო შეუწყვეტელი მუშაობა აუცილებლად საჭიროა და სადაც ეს მუშაობა ორგანიზაციების მიერ იქნება ნება დართული.

40. აღეკრძალოთ მწარმოებელთ ბავშვის სამუშაოდ დაქირავება 16 წლამდის, სამუშაო დრო ახალგაზრდებისათვის 16-18 წლამდე არ უნდა აღემატებოდეს ექვს საათს.

41. ქალებს უნდა აღეკრძალოთ შრომა იმ სამრეწველო დარგში, სადაც მათი აგებულებისათვის მუშაობა მავნებელია; ორსული ქალები უნდა გამოთავისუფლდნენ მუშაობისაგან სამუშაო ქირის გამოურიცხველად დალოგინებამდი ოთხი კვირით ადრე და ექვსი კვირით შემდეგ.

42. ყველა ფაბრიკებთან, ქარხნებთან და სხვაგან, სადაც კი ქალები მუშაობენ, სადგომები უნდა აშენდეს, აქ მოეწყობა საწოლი ძუძუ-მწოვარ პატარა ბავშვებისათვის; მიეცეთ დედებს სამუშაოდან წასვლის ნება ბავშვის მოსავლელად ნახევარი საათიდან სამ საათამდის საჭიროებისდაგვარად.

43. სიბერის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დაუძლურებაში ჩავარდნის დროისათვის მუშების უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს ისინი სპეციალური ფონდის ხარჯით, რომელიც უნდა შესდგეს ფაბრიკანტზე განსაკუთრებულის გადასახადის დადებით.

44. აღიკრძალოს სამუშაო ქირით ფულის მგიერ საქონლის მიცემა; მუშებს ანგარიში ყოველ კვირაში უნდა გაუსწორონ და უსათუოდ სამუშაო დროის განმავლობაში.

45. აღეკრძალოს კაპიტალისტებს სამუშაო ქირიდან ფულის გამორიცხვა, რა მიზეზითაც, ან რა დანიშნულებისათვისაც და რა მოსაზრებითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული.

46. დაინიშნოს საკმაო რიცხვი საფაბრიკო ინსპექტორებისა მრეწველობის სუყველა დარგებში; გავრცელდეს მათი ზედამხედველობა როგორც სახაზინო, ისე ყველა იმ წარმოებაში, სადაც დაქირავებულ შრომას ხმარობენ.

(შინაურ მოსამსახურეთა შრომაც ინსპექციის ზედამხედველობის წრეში შედის); მრეწველობის დარგში, სადაც უფრო ქალები მუშაობენ, ინსპექტორებად ქალები უნდა დაინიშნონ.

მუშებმა უნდა იყოლიონ, სახელმწიფო ჯამაგირით, თავიანთ მიერ არჩეულნი წარმომადგენლები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ: საფაბრიკო კანონების შესრულების თვალყურის დევნაში, საქონლის ნაჭრობით დასამზადებელ საქონლის ჩაბარებაში.

47. დაევალოს ადგილობრივ თვითმმართველობას, მუშების მიერ არჩეულ პირებთან ერთად, თვალყური ადევნოს იმ სადგომების სანიტარულ მდგომარეობას, რომელთაც კაპიტალისტები მუშებს საცხოვრებლად აძლევენ; მასვე უნდა დაევალოს, თვალყური ადევნოს იმ სადგომებში შინაურ წესიერებას და იმათ დაქირავების პირობებს, რომ მუშა, როგორც კერძო პირი და მოქალაქე თავისუფალი იყოს თავის შინაურ ცხოვრებასა და მოქმედებაში კაპიტალისტების ჩარევისაგან.

48. დაარსდეს წესიერად მოწყობილი სანიტარული ზედამხედველობა მრეწველობის ყველა დარგებში, სადაც დაქირავებულ შრომას ხმარობენ; ამისათვის საჭიროა საექიმო და სასანიტარო ორგანიზაციის სრული დამოუკიდებლობა კაპიტალისტებისაგან. დაწესდეს უფასო წამლობა, მრეწველობის ხარჯით, ავადმყოფობის დროს ჯამაგირის გამოურიცხველად.

ვახტანგ გურული
საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) გვ.392-398)

პოლიტიკურ ამბიციებს შეწირული ქალაქის საათი

ალიონი. ქალაქ ოზურგეთში, სარკინიგზო სადგურის წინ მდებარე საათი რამდენიმე წელიწადია, ერთსა და იმავე დროს უჩვენებს, აქ დღესაც თერთმეტ საათამდე თოთხმეტი წუთია დარჩენილი.

ამბობენ, რომ ეს საათი პოლიტიკურ ამბიციებს შეეწირა, რომ წინისწინა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ქალაქის გულისგულში დამონტაჟებული და შემდეგ, მავანთა მიერ მწყობრიდან გამოყვანილი საათის შეკეთება წინა ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელმა რგოლმა არ ისურვა.

კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება ამ ტენდენციის მიმდევარი არ იქნება და ხსენებულ საათს – ქალაქის მაჯისცემის ერთგვარ განმსაზღვრელს ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს.

იტალიური ვეტფრენით ოზურგეთიდან ბახმაროში საჰაერო ტურები სრულდება

ალიონი. იტალიური წარმოების 6-ადგილიანი ვეტმფრენით **4L-GWG** ოზურგეთიდან ბახმაროში საჰაერო ტურები სრულდება.

საჰაერო მიმოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია გურიის მხარის ზამთრის კურორ-ტებისთვის (ბახმარო, გომისმთა), სადაც ზამთრობით ტრანსპორტით გადაადგილება ძნელდება.

2014 წელს სამთო სათხილამურო კომპანია **„Mountain“** კურორტ ბახმაროში სასტუმრო კომპლექსის აშენებას გეგმავდა. ჩეხები აქ კოტეჯებს ქირაობდნენ, შემოიყვანეს სათანადო ტექნიკა და ზამთრის სეზონზე უცხოელ მოყვარულ სამთომოთხილამურეებს მასპინძლობდნენ.

ჩეხების გარდა ბახმაროს ზამთრის პოტენციალით გერმანელებიც დაინტერესდნენ და გარკ-ვეული კონკურენციაც გაჩნდა ჩეხებსა და გერმანელებს შორის.

2 წლის წინ, მდინარე ბახვისწყლის ხეობასთან ახლოს, გერმანელმა ინვესტორმა ახალი სასტუმრო ააგო. გერმანელებს შესაბამისი ტექნიკაც ჰყავთ.

ამჟამად სასტუმრო „პიონერში“, რომელსაც კეთილმოწყობილი ქოხიც გააჩნია გურია-აჭარის საზღვარზე, რამდენიმე ათეული უცხოელი ტურისტია ჩამოსული ამერიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან და ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან.

იტალიური წარმოების **AGUSTA A-109K2** -ს ვეტმფრენი საკმაოდ კომფორტულია. მას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის დასაწყისში მოწყობილ მცირე აეროდრომიდან გადაჰყავს უცხოელი და ქართველი ტურისტები კურორტ ბახმაროში.

რეზო თედორაძე – 89

ვულოცავთ გურიის კოლორიტს, საზოგადო მოღვაწეს, ღირსების და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერს, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს, ოკაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტს, მცოცნ

რეზო თედორაძეს

დამადების 89 წლისთავს.

გაზეთ „ალიონის“ redakcia

შვიდი მედალი მძლეოსნებისგან!!!

19-20 თებერვალს იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის სასახლემ და ახალი დიღმის კომპლექსის მძლეოსნობის სათადარიგო სტადიონმა (არენამ) საქართველოს ზამთრის ღია ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა.

ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებ გუნდებთან ერთად სომეხი და რუსი მძლეოსნებიც იღებდნენ მონაწილეობას.

შეჯიბრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მძლეოსანთა სექციის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და საერთო ჯამში შინ ორი ოქრო, ოთხი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო წამოიღეს.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ორი ოქრო საქართველოს ნაკრების წევრმა **სოფიკო შათირიშვილმა** მოიპოვა. (ბირთვის კვრა 4 კგ და ბადროს ტყორცნა)

(მწვრთნელები : დ. მანთიძე,მ. კოტრიკაძე)

ასპარეზობაზე ორი ვერცხლის მფლობელი **გოგა ჭინჭარია** გახდა. (7კგ ურობა და 2კგ ბადროს ტყორცნაში)(მწვრთნელები : გ. ბედოშვილი, მ. კოტრიკაძე)

ასევე მეორე ადგილზე გავიდა **ქეთევან მამალაძე** . მან 1კგ ბადროს ტყორცნაში აიღო ვერცხლის მედალი (მწვრთნელები დ. მანთიძე, მ. კოტრიკაძე)

შინ ვერცხლის მედალი **ლუკა ჯაფარიძემაც** წამოიღო. ლუკა შუბის ტყორცნაში გახდა მეორე ადგილის მფლობელი. (მწვრთნელი მ. კოტრიკაძე)

მიშიკო მახარაძე კი მესამე ადგილსა და ბრინჯაოს დასჯერდა. მახარაძემ სამხტომში იასპარეზა.(მწვრთნელი მ . კოტრიკაძე)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთელი **სოფიკო შათირიშვილი** 5 მარტს ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატზე იასპარეზებს. ხოლო 15 მარტს ევროპის თასზე - ტყორცნებში, პორტუგალიაში გაემგზავრება, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთან დავით მანთიძესთან ერთად.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +9+19	ღრუბელი +7+16	წვიმა +5+9	მზე, ღრუბელი +4+11	ღრუბელი +6+15	ღრუბელი +5+15	ძლიერი წვიმა +3+11
24 თებერვალი	25 თებერვალი	26 თებერვალი	27 თებერვალი	28 თებერვალი	1 მარტი	2 მარტი
ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი